



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა # 02-03/31

ქ. ბათუმი

05 სექტემბერი 2018 წელი

**2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, სსიპ
“საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ
წინასაარჩევნო რეკლამის ეთერში განთავსების რეგულირების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე და 51-ე მუხლების, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის საფუძველზე საარჩევნო სუბიექტების მიერ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-სთვის (შემდგომში - „მაუწყებელი“) წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამების ეთერში განთავსების რეგულირების მიზნით

“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35¹⁰-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. წინასაარჩევნო პერიოდში მაუწყებლის ეთერში წინასაარჩევნო (პოლიტიკური) რეკლამის განთავსების რეგულირების ფუნქცია დაეკისროს მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსების მიზნით შექმნილ მუდმივმოქმედ კომისიას (შემდგომში - „კომისია“).
2. კომისია მსჯელობს წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი თითოეული წინასაარჩევნო რეკლამისათვის წინასაარჩევნო რეკლამის სტატუსის მინიჭების თაობაზე და წარმოდგენილი რეკლამის ეთერში განთავსების/განთავსებაზე უარის თქმის შესახებ რეკომენდაციით მიმართავს მაუწყებლის დირექტორს საკითხის გადაწყვეტის მიზნით.
3. კომისია მაუწყებლის დირექტორს შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს და მაუწყებლის დირექტორი გადაწყვეტილებას იღებს წინასაარჩევნო რეკლამის მაუწყებლისთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში.
4. სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. #30)
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნათია კაპანაძე

დირექტორი

